

## აიხსვითი სახელების მართლწერის საკითხები

რიცხვითი სახელები შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძე ქართულში არის მარტივი შედგენილობისა და რთული შედგენილობისა.

მარტივია ერთეულების გამომხატველი სახელები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა; შემდეგ: ათი, ოცი, ასი და (ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით) რიცხვთა უმაღლესი კლასის გამომხატველი ნასესხები სახელები: მილიონი, მილიარდი (ბილიონი), ტრილიონი, კვადრალიონი და ა. შ.

ყველა დანარჩენი რთული შედგენილობისაა: ათის შემდეგ ოცამდე: თერთმეტი (←ათერთმეტი), თორმეტი (←ათორმეტი), ცამეტი (←ათსამეტი), თოთხმეტი (←ათოთხმეტი), თხუთმეტი (←ათხუთმეტი), თექვსმეტი (←ათექვსმეტი), ჩვიდმეტი (←ათშვიდმეტი), თვრამეტი (←ათრვამეტი), ცხრამეტი (←ათცხრამეტი); ოცდაერთი, ოცდაშვიდი, ოცდაცხრამეტი... ორმოცი... სამოცი, ოთხმოცი... ას ერთი, ას ოცი, ას ორმოცდაცხრამეტი... ორასი, შვიდასი, ათასი... ათას ხუთასი... ოცი ათასი, ას ოცი ათასი და ა. შ.

ამასთან, რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტამდე (ათ-ერთ-მეტ-ი, ათ-ცხრა-მეტ-ი), ოცეულების გამომხატველი სახელები (ორმოცი ← ორმოცი, ოთხმოცი ← ოთხმოცი) ასეულების შემცველი სახელები (ორ-ას-ი, ხუთ-ას-ი, ათ-ას-ი...), ათასეულებისა და ასეულების შემცველები (ათ-ას-ას-ი, ათ-ას-ორ-ას-ი, ათ-ას-შვიდ-ას-ი...) ფუძეების უკავშირდ შეერთებით მიიღება, ხოლო იმ რიცხვით სახელებში, რომლებიც გამოხატავენ რიცხვებს ერთი ოცეულიდან შემდგომ ოცეულამდე, ფუძეები და კავშირით არის შეერთებული ერთმანეთთან: ოც-და-შვიდ-ი, ოც-და-ათ-ი, ორმოც-და-ჩვიდმეტ-ი, სამოც-და-ცხრამეტ-ი, ოთხმოც-და-თერთმეტ-ი...

რაც შეეხება ათასეულებს, ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები თანამედროვე ქართულში ათასთან სახელობით ბრუნვის ფორმითაა შეწყობილი მაშინაც, როცა ათასი სახელობით ბრუნვაშია დასმული, და მაშინაც, როცა ათასი სხვა ბრუნვებშია წარმოდგენილი.

მაგალითად:

ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწყვლელად და უჩირქოდ გადაუცია (ილია).

ბევრი ათი ათასი წელწადა გაავადა, ვიდრე ადამიანი ენას შექმნიდა სამეტყვოდ (ილია).

ესე რომ სულ ორმოცი ათასი მონგოლი... დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას (ი. გოგებ.).

ორი ათასი თოფი ქართველის ჯარისა სეტყვასავით აყრიდა ტყვიას თავზე (ი. გოგებ.).

5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

ერთ მხრივ იბრძოდა ათი ათასი თათარი (ი. გოგებ.).

[ლელა-ფუტყარს] თან ახლავს რამდენიმე ასი ათასი ფუტყარი (ი. გოგებ.).  
ყოველდღე უკანასკნელი სამოცი ათასი გირვანჭა თვეში მაინც მოუღებდა.  
მათ (ი. გოგებ.).

ჩვენს ბრძანებაზე ათასნი, ათი ათასნი დადიან (ვაჟა);

ათი ათასი ყოველმხრივ რომ დაიქუხებს ერთადა (ვაჟა).

ამ ფულიდან თოთხმეტი ათასი მანეთი შევალეებს დაუროგა (გ. წიგით).  
ოცდახუთი ათასი მანეთი ყოველწლიურად გადადებული იყო მოსწავლეთა  
სტიპენდიებისათვის (დ. კლდ.).

საჭირო იყო, სულ უკანასკნელი თვერამეტი ათასი ფული სიმინდი რომ  
შეტანილიყო სოფელში (დ. კლდ.).  
ახალციხელთა საშველად ოსმალეთიდან ოცი ათასი ასკერი მოჰყავდა

(მ. ჭავჭავაძე).

მხიარულად მისცა ხმა ათი ათასმა მრევლის გულმა (ი. გოგებ.).

იგრილა ათი ათასმა ფრთამ (ვაჟა).

თუ მოვიწადინე, ათასს და ათი ათასს არ ვიშოვი? (ვაჟა).

იქიდან წამოსული სინათლე ათი და ათჯერ ათი ათას წელს შემდეგ აღწევს,  
ჩვენამდე (გ. ლომთ.).

ეს მამული დარჩება ბაბვი ფულავის ოცი ათას მანეთში (გ. წიგით).

ხუთი ათასი ქართველი ებრძოდა სამშობლოს დასაცველად სამოცდაათი  
ათას სპარსელსა (ი. გოგებ.).

მაშასადამე, ყველა მატლი თვეში ოცდაათს ნაყოფს სჭამს და შვილი ათას  
ხუთასი ჭია შესჭამს ორას ოცდახუთი ათას ნაყოფსა (ი. გოგებ.).

მტრთა რიცხვი ოცდაათი ათასს აღემატებოდა (ი. გოგებ.).

ხუთი ათას თუმანზე მოვაწერე ხელი (აკაკი).

რუსულს თეატრს კი ამავე ხანებში ხუთი ათას თუმანამდე ფული მიაშველა.  
მოთაგობამ (ილია).

ათასხუთასი მაშინ მომხმარე ოცი ათასად დაფასდებოდა (აკაკი).

სუსტი ზარი მის ხელში გივდება და ათი ათას ნაკუწად იკუწება (მ. ჭავჭავაძე).

ჩვენებური ბანკი... წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგზებს იძლევა და ამ  
ოცი ათას თუმანდამ თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო. საქვეყნო ჭირსა  
და ვარაზს ანდომებს (ილია).

მოწინავე ჭარს, ტურფად დარაზმულს, ოთხი ათასს დაჰყურებს ჰაბუკს (აკაკი).

ხუთი ათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მოდის იმის ბანაშკირზე (ილია).

კაცი, მაგალითებრ, მოგიტორბოთ, რომ საჭარტველოს სამი ათასი წელიწადი-  
უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაფუძრევი, არც ქუა და  
გონება უმოჭმელებია, არც გული და გრძობა გამოუჩენია, არც წესი და არც რიგი-  
ცხოვრებისა გამოუჩენია, არც არაღირის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთი სიტყვით,  
იხტორია არა ჰქონიაო. ეუბნებით, თუ ყოველი ეს მართალია, მაშროგორღა გაუძლია  
საჭარტველოს დღემდე, რას შეენახავს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ  
მტრად არა გქეულა ამოდენა მტრებ შორის მოქცეული? (ილია).

თუ გვეტნება ორი ათასეული და ორი ასეული, ამას მოკლედ ასე გამოეთქვამთ: ორი  
ათას ორასი. ასევე ხუთი ათასეული, სამი ასეული და ოთხი ასეული მოკლედ ასე  
გამოითქმის: ხუთი ათას სამას ორმოცი. ან კიდევ, შვიდი ათასეული, რვა ასე-  
ული და ორი ათეული შემოკლებულად ასე გამოითქმის: შვიდი ათასს რვაას ოცი.

დაასახელეთ შემდეგი რიცხვების თანრიგები: ოთხი ათას შვიდას ორმოცდა რვა;  
ხუთი ათას უცხასი; ოთხი ათას ოცდა რვა; სამი ათას სამას ერთი (ა. ხა-  
რაბაძე, ართომ. ამოც., და მაგ. კრებული III კლ.).

დაწერეთ რიცხვები: თექვსმეტი ათას ორას ერთი, ას შვიდი ათას ოთხას  
სამოცი (მინხვე, IV კლ. სახელმძღვანელო).

რაც შეეხება ძველ ქართულს. იქ ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი  
რიცხვითი სახელები ათასთან ფუძის სახით იყო წარმოდგენილი:

ოღეს-იგი ტუეზად განუტეხე ხუთ ათასსა (მარკ. 8, 10).

ინამუ-დგა კაცებმან მან რიცხუთ ხუთ ათასმან (იოანე 6, 10).

ოღეს-იგი უთი პური განუტეხე ხუთ ათასთათჳს (მარკ. 8, 10).

(ლორნი) იყენეს ვრ ორ ათას (მარკ. 5, 13).

ხოლო რომელთა ჭამეს, იყენეს ოთხ ათას მამანი (მათე 15, 38).

და ეპოვეთ პროპატიეს ორ ათასსა და შვიდ სული (წარტყ.).

და ეპოვეთ გოდოლსა თანა დავითისსა ორ ათას ორას და ათი სული (წარტყ.).

და ეპოვეთ ქუზბთა შინა და ორმოთა და ლაკუათა შინა და მტალოთა ექუს ათას ცხრაას და ათშვიდმეტი სული (წარტყ.).

მაგრამ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში უკვე საკმაოდ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასთან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

იყო რიცხვ იგი ყოველთად მათ ერთბამად სამეოცდაექუსი ათასი და ხუთასი და ცხრაას სული (წარტყ.).

განადლო ოთხი ათასი სული (კიმენი I).

და მოსრეს ძეთა ისრაელისათა ბენიამენი მას დღესა შინა ოცდაახუთი ათასი და ასი კაცი (ოშკი, მსაჯულთა).

მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა ღრამად ათი ათასი (ხედთ.).

გამოზარდა ექუსასი ათასი ორმოცსა წელსა (კიმენი I).

და დაეცა სიმრავლე ოთხასი ათასისა ბრძოლისად (ხრონ.).

ხოლო იუდასა შორის ოთხას ოთხმეოცი ათასნი კაცი აღმოშველნი მახულისანი (ხრონ.).

ათასეულის რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ ბრუნვაშიც კი შეიძლება იყოს შეთანხმებული ათასთან:

უაუთუო შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხვევად ოცითა ათასითა მოშავალისა მის ზედა? (ლუკა 14, 31).

მერმინდელ ძველებში სახელობითი ბრუნვა საბოლოოდ მკვიდრდება.

მაგალითად:

წარმოემართა ლაშქროთა ოცდაცამეტრ ათასითა (ანა დედოფ. 3, 3).

და მოსწყუდნა სატლათა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი (იქვე).

შენ მიანიჭე უჟიდას ოთხმოცი ათასი სული (იქვე).

ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო („ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 741).

შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან (იქვე, სტროფი 771)

შეყარნა სპანი, არაბეთს აღარა ხანსა ზმულთა,

კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულთა (იქვე, სტროფი 1567).

გვირახის ვარსა ჭაბუჯი ათი ათასი მცველია (იქვე, სტროფი 1882).

ათი ათასი ჭაბუჯი დგას ყველაკაი ხასები (იქვე, სტროფი 1248).

თუმცა აქა-იქ შეიძლება ძველი ნორმაც ამოტივტივდეს:

ათი ათასი ჭაბუჯი დგას ყველაკაი ხასები,

ჭალჭის კართა სამთავე სამათასსამათასებე (იქვე, სტროფი 1248).

ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც ახალ ქართულშიც დასტურდება:

[მუშა ფუტკარების] რიცხვი უწევს თხუთმეტი ათასიდან ოცდაახუთ ათასამდე (ი. გოგბ.).

ამ შემთხვევაში ჩანს ტენდენცია ათასს მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელი ისე შეეწყოს, როგორც ბრუნვაში შეთანხმებული მსაზღვრელი,

უფრო მაღალი კლასის გამოხატველი რიცხვითი სახელების (მილიონი, მილიარდი და ა. შ.) რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ფუძის სახით წარმოდგენილი არ შეიძლება იყოს, მაგრამ აქ ერთი თავისებურება შეიმჩნევა: მაშინ, როცა ათასთან სახელობითი ბრუნვის ფორმა შექიდროდაა დაკავშირებული და ათასის ბრუნვაში ცვლისაგან არაა დამოკიდებული, ყოველთვის სახელობითში გვხვდება, რომელ ბრუნვაშიც უნდა იყოს ათასი,—მილიონს, მილიარდს და ა. შ. მისი რაოდენობის გამოხატველი სახელი ისე შეეწყობა, როგორც მსაზღვრელი და მისთან ბრუნვაშია შეთანხმებული (შდრ.: ორი ათასმა კაცმა და ორმა მილიონმა კაცმა, ორი ათას კაცს და ორ მილიონ კაცს და ა. შ.).

### მაგალითები:

რიცხვი დანარჩენთა მკვიდრთა ოცს მილიონზედ მეტია (ილია).

დაწერეთ რიცხვები: ...ორი მილიონ ერთი ათას სამასი; ოთხმოცი მილიონ ორმოცდა ორი; თოთხმეტი მილიარდ რვა მილიონ ოთხი; შეიდას ოცი მილიარდ სამასი; ერთი მილიარდ ერთი მილიონ ერთი ათას ერთი (ათ. ხარაბაძე, არათმეტვის სახელმძღვანელო, IV კლ.).

ცალკე უნდა გამოიყოს რიცხვითი სახელს—თხუთმეტი-ის საკითხი.

საერთოდ, რიცხვითი სახელები, თერთმეტიდან შოკოლებული, როგორც ცნობილია, რთული შედგენილობისაა და ასეა მიღებული: თერთმეტი←ათერთმეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით; თორმეტი←ათორმეტისაგან ამგვარადვე; თოთხმეტი←ათოთხმეტისაგან ამგვარადვე; თექვსმეტი←ათექვსმეტისაგან ამგვარადვე; ცხრამეტი←ათცხრამეტისაგან ამგვარადვე; ცამეტი←ათსამმეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით, ერთი მ-ს დაკარგვით და თხ ბგერების შერწყმით; ჩვიდმეტი←ათშვიდმეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით და თშ ბგერების შერწყმით; თვრამეტი←ათრვამეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით და ვ ბგერის რ-ს წინ გადმოსმით.

ათხუთმეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით მიღებულია თხუთმეტი, მაგრამ ზოგჯერ თ-ც იკარგვის და რჩება ხუთმეტი. გარდა ამისა გვხვდება თუთხმეტიც (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში და დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში). ეს ფორმა თოთხმეტის ანალოგიით მიღებულადაა მიჩნეული.

### ხუთმეტი

ხუთმეტი [ურეზი] ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შემეღლა (ილია).

იანვრის «ცისკარა»... კმ მაწიწინა დაჭლებულ მისის «შოამბეზედ» მართო ხუთმეტი და ნახევარ ფურცლით არას მეტი (ილია).

ხუთმეტი წელი გავიდა (ვაჟა).

ოცდაათის თუ ოცდახუთმეტის წლისა არისო (ე. ნინოშ.).

მემამულეს მოუტანინებია ოცდახუთმეტი თუნაღ (ილია).

ჩემი სიკო... ეს ხუთმეტი წელიწადია არ მინახავს (შ. არაგვ.).

დარჩა მხოლოდ ციხისთავი, ხუთმეტი ოსმალი, ორასი შესხი და თოთხმეტა ზარბაზანი (შ. ჭავჭავაძე).

ხუთ კოლამდე დიკა ჰქონდად დათესილი, ხუთმეტი კოდის იმედი ჰქონდა (ვაჟა).

ქალოც გაიზარდა და მოიყარა თოთხმეტ-ხუთმეტის წლისა (თ. რაზ.).

### თუთხმეტი

სულ [ფერეიდის] თუთხმეტს სოფელში ირიცხება დაახლოებით 7000 კოლამდე (ი. გოგებ.).

მომეცი თუთხმეტი მანეთი (ნ. ლორთქ.).

ერთი თუ თხმეტი ცხენოსანი მოვიყრიდით თავს (ნ. ლორთქ.).  
იმათთვის თუ თხმეტი მანეთი დიდ ფული იყო (ე. ნინოშ.).  
თუ თხმეტი წელიწადი მეზღვაური ვიყავი (ს. კლდ.).  
ხელის თუ თხმეტს უნდა ჩამოხვიდე ჩემთან ქალაქში (დ. კლდ.).

### თხუთმეტი

ბანკებში მისაბარებლად და შესანახავად შეტანილ იქნა მკვიდრთაგან თხუთმეტი  
მილიონამდე (ილია).

ორმოცდათხუთმეტის წუთის განმავლობაში მასწავლებელმა უნდა შეაჩვიოს  
ბავშვები რუსულის სიტყვებისა, ფრაზებისა და პატარა სტატიების გამოკრებას (ილია).  
[მუშა ფურცლების] რაცხვი უწევს თხუთმეტი ათასიდან ოცდახუთ ათასამდე  
(ი. გოგებ.).

მოსე წინასწარმეტყველი გარდაიცვალა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს  
(ილია).

ერთ დღეს თხუთმეტი წლის მავყალას, მის უნებურად, გელაზედ ჭვარა კი ვა-  
დასწერეს (ყაზ.).

თხუთმეტი მანეთ ნაკლებ კი არ დავწერ ჭვარს (ვ. ბარნ.).

მარიაშობისთვის თხუთმეტი იყო (სოფ. შგაღ.).

მატარებელიც ოთხზე და თხუთმეტზე გადის (ავ. ბელ.).

ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა (მისივე).

ფითრო, აღარ გახსოვს ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ როგორი იყავ? (თ. რაზ.).

ათიდან თხუთმეტი წლამდისა იმედა კიდევ კწავლობდა (ბაჩანა).

მე მინახავს, რომ მთელი თხუთმეტი წამი ხელები აგრე უხეხია (ივ. შანაბ., თარგმ.).

ამ მასალთ გაკეთდება თხუთმეტი ქაბაბი (ბ. ჭორჯაძე).

ძველს, თხუთმეტი დღის წინათ მოსულ თოვლს... ემატებოდა... ზემოდან  
(ე. ნინოშგ.).

მაშინ სიმონა თხუთმეტის წლისა იქნებოდა (ე. ნინოშგ.).

პირველს ძილზე ძირულის სერს ამოუდგებიანო თხუთმეტი ცხენოსნითა (გ. წერეთ.).

მას ოჯახში დახვდებოდა... ჭირანივით ვუხმარდი თხუთმეტი წლის გოგონა მარანე  
(გ. ქიქ.).

მთელი თხუთმეტი წელიწადი ისე ვართ, თითქო გერმანიის ვასალები ვიყვენით  
(ილია).

ჩვენ სოფელს ქვემოლამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გაგველოთ, კაი სა-  
ნადირო აღვიღებო იყო (ილია).

**თხუთმეტი** ძირითადი ფორმაა სალიტერატურო ქართულისათვის „ვეფხის-  
ტყაოსნიდან“ მოყოლებული დღემდე („თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე  
მზრდიდა ვითა შერლსა“—„ვეფხისტყ.“ 332, 1). იმ რიცხვით სახელებში, რომელთა  
შემადგენლობაში ათი შედის, ათის ნაშთი თ შეერწყა მომდევნო თანხმოვანს, სა-  
დაც ეს შერწყმა შესაძლებელი იყო (თხ→ც: ათსა(მ)მეტი→თსა(მ)მეტი→ცამე-  
ტი; თშ→ჩ: ათშვიდმეტი→თშვიდმეტი→ჩვიდმეტი). დარჩა იმ შემთხვევებში,  
სადაც შერწყმა შეუძლებელი იყო (თორმეტი, თოთხმეტი, თექვსმეტი, თვრა-  
მეტი).

ერთადერთი შემთხვევა, როცა თ დაკარგულია, გვაქვს ცხრაშემტ-ში. აქ თ  
დაკარგა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით შეუძლებელ თც  
კომპლექსს, შერწყმა კი შეუძლებელი იყო, რადგანაც აფრიკატი ც თვით შე-  
იცავს თ-ს.

ამდენად, **თხუთმეტი** თვრამეტ-ის რიგის ფორმაა და არა ცხრაშემტ-ისა. აქ,  
სიტყვის დასაწყისში, ჩვენ გვაქვს ქართულისათვის ზუნებრივი თხ კომპლექსი,  
რომლის გამარტივების საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება ფორმებს ხუთ-

**მეტი** და **თუთხმეტი**, პირველი ამჟამად აღმოსავლური, ხოლო მეორე დასავლური დიალექტური ფორმაა.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერაში ერთგვარობის დასამყარებლად უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

ა) ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყოს ყველა ბრუნვაში:

- სახელ. ორი ათასი კაცი
- მოთხრ. ორი ათასმა კაცმა
- მიცემ. ორი ათას კაცს
- მიმართ. ორი ათას კაცად
- ნათეს. ორი ათასი კაცის
- მოქმ. ორი ათასი კაცით

ბ) მილიონს, მილიარდს და რიცხვთა მაღალი კლასის აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს, რომლებიც ქართულში ნასესხებია უცხო ენებიდან, მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი შეეწყოს როგორც მსაზღვრელი სახელი საერთო წესის თანახმად:

- სახელ. ორი მილიონი კაცი
- მოთხრ. ორმა მილიონმა კაცმა
- მიცემ. ორ მილიონ კაცს
- მიმართ. ორ მილიონ კაცად
- ნათეს. ორი მილიონი კაცის
- მოქმედ. ორი მილიონი კაცით

გ) იმ შემთხვევაში, როცა რთული რიცხვითი სახელები გვაქვს, შემდგარი სამი და მეტი ნაწილისაგან (ორი ათას ხუთასი, ორი მილიონ სამი ათას ხუთასი, სამი მილიარდ ხუთასი მილიონ ოთხასი ათას ხუთასი...), მილიარდი, მილიონი, ათასი ფუძის სახით იქნეს წარმოდგენილი, ხოლო მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები—სახელობით ბრუნვაში. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს სხვადასხვა ბრუნვაში დაიბრუნავს მხოლოდ უკანასკნელი (საზღვრულისწინა) რიცხვითი სახელი.

- |                               |                                      |
|-------------------------------|--------------------------------------|
| სახელ. ორი ათას ხუთასი კაცი   | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი   |
| მოთხრ. ორი ათას ხუთასმა კაცმა | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა კაცმა |
| მიცემ. ორი ათას ხუთას კაცს    | ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცს    |
| მიმართ. ორი ათას ხუთას კაცად  | ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცად   |
| ნათეს. ორი ათას ხუთასი კაცის  | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცის  |
| მოქმ. ორი ათას ხუთასი კაცით   | ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცით  |

დ) და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები დაიწეროს ერთად, ხოლო ყველა დანარჩენი—ცალ-ცალკე.

ერთად დაიწერება: ოცდაერთი, ოცდაათი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდაათმეტი, სამოცდათხუთმეტი, ორმოცდაცხრამეტი და მისთ.

ცალ-ცალკე დაიწერება: ახ ერთი, ახ შვიდი, ახ ოცი, ახ ორმოცდაათი,

სამას ერთი, სამას ორმოცი, ათას შვიდას ოცდაათი, ათას ცხრაას ერთი, ოცი ათას შვიდასი, ოცი ათას შვიდას ოთხმოცი, ორჯასი ათას ხუთას ოცდაცამეტი, მილიონ ათას შვიდას ოცი, ხუთი მილიონ ხუთასი ათას შვიდას ოცდათერთმეტი და მისთ.

ე) სამი პარალელური ფორმისაგან—**თხუთმეტი**, **ხუთმეტი** და **თუთხმეტი** სალიტერატურო ქართულისათვის ერთადერთ ფორმად მიჩნეულ იქნეს **თხუთმეტი**.

2. რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეებისაგან **მე-პრეფიქსისა** და **-ე** სუფიქსის დართვით: **ორ-ი-მე-ორ-ე**, **ათ-ი-მე-ათ-ე**, **ცხრამეტი-მე-ცხრამეტი-ე**, **ოც-ი-მე-ოც-ე**, **ორმოცი-მე-ორმოცი-ე**, **ას-ი-მე-ას-ე**, **ხუთას-ი-მე-ხუთას-ე**, **ათას-ი-მე-ათას-ე**...

მაგრამ რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან, რომლებიც ოცეულებსა და ათეულ-ერთეულებს, ან ასეულებსა და ერთეულ-ათეულ-ოცეულებს, ან ათასეულებსა და ასეულ-ოცეულ-ერთეულებს შეიცავს, რიგობითი რიცხვითი სახელები სხვადასხვაგვარად მიიღება: ოცეულების, ასეულების, ათასეულების და ა. შ. გამომხატველი რიცხვითი სახელები უცვლელი რჩება, საწარმოებელ ფუძედ აღებულია რიცხვითი სახელის ფუძე ერთიდან ოცამდე, აგრეთვე ასეულთა გამომხატველი რიცხვითი სახელები და **მე-პრეფიქსი** და **-ე** სუფიქსი მათ ემატება, ხოლო შემდეგ ანაირად მიღებული რიგობითი რიცხვითი სახელი დართვის ოცეულების, ასეულების, ათასეულების გამომხატველ არსებით სახელებს. გამონაკლისს წარმოადგენს **ერთი**, რომლისაგანაც რიგობითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივი წესით (**მე-ერთ-ე**) მხოლოდ მაშინ იწარმოება, როცა ეს **ერთი** ოცეულების გამომხატველ სახელს ემატება (**ოცდა-მე-ერთ-ე**, **სამოცდა-მე-ერთ-ე**), ჩვეულებრივ კი **პირველი** იხმარება, ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც.

**მაგალითები ძველი ქართულიდან:**

ხოლო იყო გარდაცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა (**ხანძთ.**)  
ეჭუსას და მეერთესა წელსა ცხორებისა მისისასა გამოვიდა კიღობნისაგან (**ბრონ.**).

ხუთათასმეხუთასესა წელსა... სრულ იქმნა სიტყუა იგი (**ბრონ.**)-  
ხოლო ინდიკტიონსა ოთხსა და ოცდამეერთესა წელსა პერეკუს მეფობისასა და იპურა (**წარტყ.**).

გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ეჭუსათასხუთასორმეოცდამეათოთხმეტესა წელსა (**ხანძთ.**)  
ხოლო ეამსა პასაკისა მისისათა ოთხმეოცდამეტესა წელსა შეისუნენა მამამან ჩუენმან საბა (**კიმენი I**).

ხოლო ოცდამეტესა წელსა დღესა მოიყვანეს იგი (**კიმენი I**).  
აღესრულების ცხრად თთუედ ოცდამეხუთშდღშ თოჴსა დევენბერისაჲ (**კიმენი II**).

**მაგალითები ახალი ქართულიდან:**

ინდოლური მთელი თვე ზის კვარცხებზედ და ოცდამეათე დღეს სჩეკავს ქუჭებსა (**ი. გოგებ.**).

სამხედრო დებულებათა ოცდამეოთხე წიგნი (დ. კლდ.).  
მე ოცდასამი წლისა შევსრულდი და ოცდამეოთხეში გადავდექი (**შ. არაგვ.**).  
წასვლის დრო მაქვს, წასვლისა ხუმრობა ზომ არ არის, ოთხმოცდამეორეში გადავდექი (ეპ. გიბ.).

გვხვდება როგორც ოცდამეერთე, ისე ოცდამირველი:

ოცდამეერთე დღეს რომ საბუღართან მივედი, კვრცხებიდან კაქუნ მომესმა  
(ი. გოგებ.).

თუ ოცდაპირველს დღეს მივიღო საბუღართან, ვნახავთ, რომ წიწილები ნისკარ-  
ტით ამტვრევენ ნაჭუჭსა და გარეთ გამოდიან (ი. გოგებ.).

მაგრამ როგორც ძველ ქართულში, ისე ახალ ქართულში გვხვდება მეორე-  
გვარი წარმოებაც, როცა საწარმოებელ ფუძელ აღებულია მთლიანი ფუძე რთული  
შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელისა.

### ძველი ქართული:

და დაყვეს ბრძოლათა შინა ოცი დღე და ესროდეს ფილაკავანითა ძლიერად, ვიდრემდის  
დასცეს ზღუდჳ ქალაქისად მეოცდამერთესა დღესა (წარტყ.).

და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა (ლუკა 8, 28).

და თავადსა იესუს ეწყო ოდენ მეოცდაათესა წელსა (ლუკა, 8, 28).

### ახალი ქართული:

[არსენას] ოცი თავი რომ ჰქონდეს, ოცივეს მოეჭრიდი.—ისეთი ბრაზით სთქვა და-  
ვითმა, რომ მაიორს შეეშინდა, მეოცდამერთე ჩემიც არ მაყოლოსო (მ. ჭავჭავ.).  
მეორმოცდაათხე ველი; მეორმოცდამერთე ველი; მეორმოცდამორე  
ველი („ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი“).

### არის ნარევი წარმოების შემთხვევებიც:

სწორედ მეოცდამეერთე თავის მუხუთე სტრიქონზედ შევედგით (ილია).

უფრო ქვეით, საბძლის ძირში, ოცი გლეხი გაქვავებულიყო და მეოცდაპირველს  
ერთადერთი თვალი ცალთვალა ბუსავით დაეპყრათ (მ. ჭავჭავ.).

პირველი რიგის წარმოებას გარკვეული ნაკლოვანებები აქვს. ჭერ ერთი,  
დარღვეულია წარმოების პრინციპი: როდესაც რთული ფუძისაგან ახალი ფუძეები  
იწარმოება, საწარმოებლად მთლიანი რთული ფუძეა ჩვეულებრივ აღებული და  
არა მისი შემადგენელი ერთ-ერთი ფუძე. ამ მხრივ მეორე რიგის წარმოება უფრო  
თანამიმდევრულია და ეგუება ქართული სიტყვაწარმოების პრინციპს.

პირველი სახის წარმოებას სხვა უხერხულობაც ახლავს. მარტივი აგებულე-  
ბის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვი-  
თი სახელები არაბული ციფრებით გამოხატვის შემთხვევაში ასე იწერება: მე-2,  
მე-7, მე-100, მე-19. როგორღა უნდა დაიწეროს რთული შედგენილობის რაოდენ-  
ობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები, მა-  
გალითად, ოცდამეშვიდე, ოთხმოცდამეცხრე, ოთხმოცდამეცამეტე? თუ ამგვარადვე  
დაიწერა (მე-27, მე-89, მე-93), მაშინ აღარ წაიკითხება როგორც ოცდამეშვიდე,  
ოთხმოცდამეცხრე ან ოთხმოცდამეცამეტე. ამიტომ ასეთი დაწერილობა გავრ-  
ცელდა: 27-ე, 89-ე, 93-ე. წაიკითხვის უხერხულობები არც ამ შემთხვევაშია საე-  
სებით დაძლეული.

ერთის შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელია პირველი; ცალკე მე-  
ერთ-ე არა გვაქვს, ხოლო ოცდაერთის, ორმოცდაერთის, ას ერთის და მისთ.  
შესაბამისად ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, ასმეერთე და ა. შ. იხმარება.  
გვხვდება ოცდაპირველი, ორმოცდაპირველი, ასპირველი ფორმების ხმარების  
შემთხვევებიც.

რიგობითი რიცხვითი სახელებისაგანა მიღებული წილობითი რიცხ-  
ვითი სახელები: მესამე—მესამედ—მესამედი, მეათე—მეათედ—მეათედი,  
მეახსე—მეახსედ—მეახსედი. როცა წილობითი სახელების წარმოებისას ემყარე-  
ბიან ოცდამესამე, ოცდამეათე და მისთ. ფორმებს, ვიღებთ წილობით რიცხვით



სახელებს: ხაში ოცდამეხამედი, ზუთი ოცდამეხუთედი. პარალელურად გვხვდება მეოცდასამედი, მეოცდახუთედი ფორმებიც.

რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება: მე-10, მე-10-ე; ზოგჯერ პირველსაც წერენ არაბული ციფრებით: 1-ლი ან 1-ელი, რომელი ციფრების გამოყენებისასაც გვხვდება სხვადასხვაგვარი დაწერილობა: XIX, მე-XIX, მე-XIX-ე.

პირველის მიმართულებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია ფუძედ პირველადისათვის; ამგვარადვე უნდა ყოფილიყო მეორედი, მაგრამ მის ნაცვლად მეორადი გვხვდება მეორეულის გვერდით.

ჩვენს მწერლობაში კარგა ხანია გავრცელებულია პარალელური ფორმები: მესამოცე წლები და ხამოციანი წლები, მეოთხმოცე წლები და ოთხმოციანი წლები.

ერს უჭირდა ო რ მ ო ც ი ა ნ და ო რ მ ო ც დ ა ა თ ი ა ნ წ ლ ე ბ ი ს განმავლობაში (ილია). მწერლობა ჩვენი, ო ც დ ა ა თ ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი ხელახლად დეზადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო (ილია).

წარსული საუკუნის ო თ ხ მ ო ც ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი მოიშალა „ნამესტინიკოა“ (დ. კლდ.). მაგრამ:

მესამოცე წლებმა ჩვენში აქა-იქ ვარდები დამყნა (აკაკი).

სამწუხარო ის არის, რომ ამგვარ სახელთა რიცხვში ხელავეტ მესამოცე და მეოთხმოცე წლების ზოგიერთ პატრიოტებსაც (ი. გოგებ.).

მესამოცე წლების მოღვაწეებში... ყველაზე წინ მესხატებიან გ. წერეთელი. ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე (აკაკი).

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერაში ერთგვარობის დასამყარებლად უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

ა) რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძისაგან რიგობითი რიცხვითი სახელის ორგვარი წარმოებისაგან (ოცდამეშვიდე და მეოცდაშვიდე, ოცდამეთხუთმეტე და მეოცდათხუთმეტე), მიუხედავად წარმოების თვალსაზრისით ზოგიერთი უხერხულობისა, სალიტერატურო ენაში ერთადერთ ფორმად პირველი უნდა დარჩეს, რადგანაც იგი გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ე. ი. გვექნება: ოცდამეხუთე და არა მეოცდახუთე, ოცდამეჩვიდმეტე და არა მეოცდაჩვიდმეტე, ორმოცდამეცამეტე და არა მეორმოცდამეცამეტე, ოთხმოცდამეთხუთმეტე და არა მეოთხმოცდათხუთმეტე და ა. შ.

პარალელურ ფორმათაგან—ოცდამეერთე და ოცდაპირველი, ორმოცდამეერთე და ორმოცდაპირველი, ასმეერთე და ასპირველი—სალიტერატურო ენაში დარჩეს ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, ასმეერთე ფორმები, ოცდაპირველი, ორმოცდაპირველი, ასპირველი უკუსაგდებია.

შენიშვნა. მაგრამ ცალკე—პირველი და არა მეერთე.

ამის მიხედვით იწება ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელები: ოცდამეხუთედი და არა მეოცდახუთედი, ოცდამეჩვიდმეტედი და არა მეოცდაჩვიდმეტედი, ორმოცდამეცამეტედი და არა მეორმოცდამეცამეტედი და ა. შ.

შენიშვნა. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთად, ერთ სიტყვად დაიწერება.

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელების რომელი ციფრებით გამოსახვისას არც თავსა და არც ბოლოში პრეფიქსი ან სუფიქსი არ დაერთოს: XIX და არა მე-XIX ან მე-XIX-ე.

გ) რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას თავში დაერთოს მე- პრეფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოს (მე-15 და არა მე-15-ე), ხოლო რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახვისას მხოლოდ ბოლოში დაერთოს -ესუფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოს: 27-ე.

დ) რიცხვითი სახელი პირველი დაიწეროს ან ასოებით, ან რომელი ციფრით (პირველი ან I), ან არაბული ციფრით ასე: 1-ლი.

ე) ფორმათაგან მეორადი და მეორეული ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად მიჩნეულ იქნეს მეორეული (ისევე როგორც მესამეული, მეოთხეული...).

ვ) პარალელურ გამოთქმათაგან მესამოცე წლები და სამოციანი წლები ორივე იქნეს მიჩნეული ლიტერატურულ გამოთქმად. ასევე გვექმები: მეოთხმოცე წლები და ოთხმოციანი წლები, ოთხმოცდამეათე წლები და ოთხმოცდაათიანი წლები.